საქართველო
GEORGIA
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL - AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

59 თამარ მეფის ქ., ქუთაისი, 4600, საქართველო
ტელ.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
ელ. ფოსტა: atsu@atsu.edu.ge

59, Tamar Mefe st., Kutaisi, 4600, Georgia
Tel.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
E-mail: atsu@atsu.edu.ge

№ 01-04/86 ბრძანება 3.11 2017 წ.

აწსუ სტუდენტების მიერ განსხვავებული და/ან დავალიანებაში დარჩენილი კრედიტების ათვისების წესის, პირობების და ფინანსური ვალდებულების შესრულების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. **აწსუ სტუდენტთა მიერ განსხვავებული და/ან დავალიანებაში დარჩენილი კრედიტების ათვისება მოხდეს შემდეგი წესებისა და პირობების დაცვით:**

1. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო წლის განმავლობაში აითვისოს მაქსიმუმ 75 კრედიტი, მაგრამ არაუმეტეს 40 კრედიტისა სემესტრში, რისთვისაც იგი უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის საჭირო ნორმატიულ ვადაში (ბაკალავრიატი 4 სასწავლო წელი, ერთსაფეხურიანი 5-6 სასწავლო წელი, მაგისტრატურა 2 სასწავლო წელი, დოქტორანტურა 3 სასწავლო წელი) ყოველ სემესტრულად იხდის მხოლოდ სემესტრისათვის განკუთვნილ სწავლის საფასურს.
2. განსხვავებული და/ან დავალიანებაში დარჩენილი კრედიტების ათვისებისათვის სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია პირადი განცხადების საფუძველზე. სასწავლო გეგმის სემესტრული კონფიგურაციით გათვალისწინებული საგნების გარდა, სტუდენტს უფლება ეძლევა აითვისოს განსხვავებული და/ან დავალიანებაში დარჩენილი კრედიტები შესაბამის სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამის გავლის პარალელურად დამატებითი ანაზღაურების გარეშე (თუ აღნიშნული არ იწვევს ახალი აკადემიური ჯგუფის შექმნას), ან/და დამატებითი სემესტრის (სემესტრების) განმავლობაში შესაბამისი ანაზღაურებით;

3. იმ შემთხვევეაში, თუ სტუდენტს აქვს აკადემიური დავალიანება და სურვილი აქვს მიმდინარე სემესტრში აითვისოს მხოლოდ დავალიანებაში დარჩენილი კრედიტები განმეორებით, საკუთარი განცხადებისა და კრედიტებისათვის საჭირო სწავლის საფასურის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე მიეცეს მას შესაბამის სემესტრზე განმეორებით რეგისტრაციის უფლება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის დაფიქსირებით. კრედიტების ასათვისებლად სწავლის საფასური განისაზღვროს მოცემული სასწავლო წლისათვის საგანმანათლებლო პროგრამის 1 კრედიტის ღირებულების პროპორციულად, სწავლის ნორმატიული ვადის გათვალისწინებით, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

4. **ნორმატიული ვადის გასვლის შემდეგ, თუ სტუდენტმა სრულად ვერ აითვისა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები, მასსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ახალი ხელშეკრულება, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის მოცემული პროგრამის სწავლის საფასურის შენარჩუნებით (მაგრამ არაუმეტეს ორი სემესტრისა);**

5. **იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტებს სრულად ვერ ითვისებს ვერც ამ ბრძანების I.4. პუნქტით განსაზღვრულ ვადებში, სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელების სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, მასსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმდეს ახალი ხელშეკრულება და სტუდენტის ფინანსური ვალდებულება განისაზღვროს მოცემულ სასწავლო წელს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის დადგენილი სწავლის საფასურის მიხედვით, ასათვისებელი კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით.**

6. მობილობით გადმოსული სტუდენტი, რომელიც მიმდინარე სემესტრში, წინაპირობიბედან გამომდინარე, ითვისებს მხოლოდ რამდენიმე სასწავლო კურსს, სწავლის საფასურს იხდის ამ ბრძანების I.3 პუნქტის პრინციპის შესაბამისად;

7. მობილობით გადმოსულ სტუდენტებს შესაბამისი ხელშეკრულება გაუფორმოს აწსუ ხარისხის მართვის სამსახურის „მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორმა“ ფაკულტეტიდან მოწოდებული შესაბამისი დასკვნებისა და ინფორმაციის საფუძველზე.

8. ფაკულტეტის ადმინისტრაციებმა, შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, ამ ბრძანების I.4, I.5 და I.6 პუნქტებით განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტებს დაუდგინონ განსხვავებული (ასათვისებელი) კრედიტების ოდენობა, სწავლის საფასური და I.4 და I.5 პუნქტის შესაბამის სტუდენტებს გაუფორმონ ახალი ხელშეკრულებები.

9. უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებს სტუდენტის სტატუსი არ უჩერდება და ისინი სწავლის საფასურს იხდიან უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

10. ფაკულტეტის დეკანებს და უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების განხორციელება.

II. **სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულების შესრულება მოხდეს შემდეგი პირობების დაცვით:**

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სწავლის ქირის გადახდის ყოველკვარტალური ვადებია: 30 სექტემბერი, 20 დეკემბერი, 30 მარტი და 20 მაისი.

2. ხელშეკრულების შესაბამისად, სწავლის საფასურის ყოველკვარტალური შენატანის გადახდის ვადის გასვლის შემდგომ:

ა) საფინანსო სამსახურმა გონივრულ ვადაში (4-5 დღე) მიაწოდოს ფაკულტეტებს ინფორმაცია სტუდენტთა დავალიანების შესახებ, ყოველკვარტალური გადახდის ვადების მდგომარეობით.

ბ) ფაკულტეტმა დაამუშაოს მიღებული ინფორმაცია და მოამზადოს ბრძანება სტატუსის შეჩერების შესახებ, ყოველკვარტალური შენატანის გადახდის ბოლო ვადიდან არაუგვიანეს 15 დღისა. ამასთან, გადახდის ვადის დასრულების შემდგომ, სტატუსის შეჩერებამდე დავალიანების დაფარვის შემთხვევაში, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი სტუდენტმა წარადგინოს ფაკულტეტის მდივანთან.

გ) სტატუსის შეჩერების ბოლო ვადიდან არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში, თანხის გადახდის შემთხვევაში, სტუდენტს შეიძლება აღუდგეს სტატუსი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ სტატუსის აღდგენის საკითხი მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში არ განიხილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

გ.ა. სტუდენტი განმეორებით რეგისტრირდება წინა პერიოდის განმავლობაში აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილი სასწავლო კურსების ასათვისებლად და სწავლის საფასურს იხდის ამ ბრძანების I.3 პუნქტის შესაბამისად.

გ.ბ. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გავიდეს მიმდინარე სემესტრით გათვალისწინებული სასწავლო კურსების გარკვეული ნაწილის სწავლის შედეგზე, მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე კურაციული სწავლების სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე.

3. გამონაკლის შემთხვევაში, თანხის გადახდის გადავადება (ეტაპობრივი გადახდის უფლება) შესაძლებელია დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობით, რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.

4. თუ სტუდენტმა სწავლის საფასური არ გადაიხადა ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში (პუნქტი II, I)) და გადახდა განახორციელა დაგვიანებით II, 2 გ. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ, რის გამოც, მისი სტუდენტის სტატუსი არ ექვემდებარება აღდგენას, სტუდენტს მისი სურვილის თანახმად (რაც უნდა გამოხატოს წერილობით), შესაძლებელია დაუბრუნდეს თანხა, ან ჩაეთვალოს მომავალში ფნანსური ვალდებულების დაფარვაში, სწავლის საფასურის მოცულობის გათვალისწინებით.

5. სტუდენტს, რომელმაც მოიპოვა პროგრამული დაფინანსება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში

სტუდენტის სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან გაიუმჯობესა სახელმწიფო სასწავლო გრანტი, ზედმეტად გადახდილი სასწავლო ქირა შესაძლებელია დაუბრუნდეს, თუ მიმდინარე პერიოდისთვის მას არ გააჩნია აკადემიური დავალიანება. სხვა შემთხვევაში ზედმეტი თანხა ბრუნდება კვალიფიკაციის მინიჭების ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში.

6. გაუქმდეს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება №01-04/110 22. 12. 2016 წ. აწსუ სტუდენტების მიერ განსხვავებული და/ან დავალიანებაში დარჩენილი კრედიტების ათვისების წესის, პირობების და ფინანსური ვალდებულების შესრულების შესახებ.
7. კანცელარის უფროსმა ე. ცირეკიძემ უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებში დაგზავნა.
8. ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურს(ასოც. პროფ. თ. ვალიშვილს).

საფუძველი: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი 44-ე, 49² მუხლის მე-4 პუნქტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება № 17 6. 04. 2015 წ.

რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: პროფ. იმერი ბასილაძე

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-07/1048 § 3.11 2017 წ.

1. ჩაერიცხოს ქუთაისის სსიპ ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის „გამოყენებითი დიზაინის" სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტებთან პრაქტიკის პერიოდში(10.07.2017 -21.07.2017წ.) გაწეული მომსახურებისთვის (იჯარის თანხა) **90 (ოთხმოცდაათი)** ლარი შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო კოდი 708637218 ბ/კ TRESGE22

2. ჩაერიცხოს ს. ს. სამკერვალო კომპანია „იმერი"-ს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის „მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგიისა და გამოყენებითი დიზაინის" სპეციალობის მეორე და მესამე კურსის სტუდენტებთან პრაქტიკის პერიოდში(17.07. 2017 – 21.07.2017წ) გაწეული მომსახურებისთვის (იჯარის თანხა) **45 (ორმოცდახუთი)** ლარი შემდეგ ანგარიშზე: ს.კ. 212670563, ს ს თიბისი ბანკის ქუთაისის ფილიალი GE62TB0300000030467301 TBCBGE22

3. ჩაერიცხოს შ.პ.ს. „ლევანტოს" საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის „მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგიისა" და „გამოყენებითი დიზაინის" სპეციალობის მეორე და მესამე კურსის სტუდენტებთან პრაქტიკის პერიოდში(10.07. 2017 – 14.07.2017წ) გაწეული მომსახურებისთვის (იჯარის თანხა) **45 (ორმოცდახუთი)** ლარი შემდეგ ანგარიშზე: GE 20BG0000000121497800 ს.კ. 412690342

საფუძველი: ხელშეკრულებები № 135,136,137 05.07.2017 წ.

მომსახურების შესრულების აქტები: №171,172, 173 27. 10. 2017 წ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: / კ. კუპატაძე /

სასწ. პროცესის მართვის სამსახურის უფროსი: /პროფ. ი. ბასილაძე/

პრაქტიკის სექტორის მთავარი სპეციალისტი: / ასოც. პროფ. ნ. გელენიძე/